

სამგორი
პროლოგი

ნ...ციდან ჩამოესმა

რეკა...ნ

ხალხური

ირეკება ციდან ზარი,
საოცარი,
ვერცხლის ზარი...
ეფინება ქვეყნის კიდურს,
და არა აქვს ხმას საზღვარი
თქვენ გგონიათ ციდან არი=
ჰრეკს ლაჟვარდის ბინადარი =
ან გგონიათ ვარსკვლავთ რეკა
ცისარტყელის მინანქარის=
აქროლება ნიავექარის=!
-- არა!
-- რეკავს ხალხის გული,
ხალხის გულის ღია კარი!
არც ოცნება, არც სიზმარი
ირეკება დღე ცისმარი,
გმირთა ხელით ხალხის გულში
საოცნებო წმინდა ზარის.
უკვდავების ძახილია
მუდამ ხალხის მაღვიძარი!
მას სამშობლო იმეორებს
დღე ცისმარი,
დღე ცისმარი...

მისტვის მიყვარს მისი ხმები,
მიტომ ამ ზარს არა აქვს ბზარი,
ისმოდა და ახლაც გვესმის
ყველა ხმაზე საოცარი --
ხალხის ზარის.
არა ციდან,
ლაჟვარდიდან, --
არც ტაძრიდან ნასმინარი,
დარხეული ხალხის გულში,
გმირთა ხელით ხალხის გულში,
რეკავს,
რეკავს დღესაც ზარი...
უკვდავების რეკვა არი!..

სადაც ნანგრევში ქარი უბერავს,
მე იქ ვეძებდი ქართლის ბუმბერაზს:
-- მითხარი, ხავსო,
მითხარ, ფათალო,
სად იყო გმირი
აქ უბადალო...

როგორ იბრძოდა აქ გორგასალი,
ან მისი მტერი როგორ განივლტო?=
მიაშბე, სურო,
წარსულის სულო,

პასუხად მესმის ჩხერა აბჯრისა,
ხელში ხმლით ვხედავ დაჭრილ გოლიათს
მოჟონავს სისხლი გორგასალისა,
რკინის პერანგის ნამსხვრევ რგოლიდან..



აიმართება უჯარმის ციხე,
ბრწყინვალეებს კოშკის ერთი სარკმელი,
სარკმელში მოსჩანს ქალი მდუმარე
ჩემი ოცნების გადამსარკველი.

რას ფიქრობს ახლა ქალი კოშკელი,
რად ყრია ირგვლივ აბჯრის ნალექი ?=
რად მეჩვენება იორის ზვირთში
მისი, სასახლე ოქროთ ნალესი?=
მართლაა იგი?=
ნათილისმარი
ნისლის ნაცრეცი,
ქარი სიზმარი?..

-- ალი ხარ, გულზე შეკიდებული,
მარგალიტი ხარ ზღვის ქვეშეთისა!..
ვიღაც შეჰკვნესის მაისის ღამით,
ვინც განშორებას ვერ შეეთვისა.

მე ვეკითხები ჩაწულ უსურვაზს:
ბედმა კეთილი ქალს არ უსურვა?=
სიყვარულის დღე მას არ ეღირსა? --
პასუხად მესმის თრთოლა ვერხვისა,
ჟრიალი ოქროს სამაჯურისა
და ნატირალი ხმა მიჯნურისა...

წინათქმა

ჩემი ნათქვამი იქნება შორი,
ძველად მომხდარი, სულ ძველისძველად..
ამ ველს არ ერქვა მაშინ სამგორი,
იწოდებოდა უჯარმის ველად...

ჰხარობდა მიწა დამადლებული,
ოქროს მინდორი, -- პურის მადანი..
ოქროს სიჩუმე იდგა ყანებში,
ლალს აშუქებდა ვაზის ბარდანი...

ხასხასებდნენ ივრისპირად,
ვენახები პირმზვარენი..
შრიალებდნენ ნიგვზნარები....
ვერხვნარები
ვერცხლნარები...

თავი პირველი

სამგორს ზევით.
ივრის პირად,
ჰხედავ ნანგრევთ
შავი ჩრდილით==
-- ნაქალაქარს, --
ძველს უჯარმას,
ხავსი რომ აქვს წამოზრდილი..
პირველი

ნდაჯდა ვახტანგ უჯარმას და აღაშენა
იგი ნაშენებითა უზომოთან..
ნქართლის ცხოვრებან

ნაცარწყრილ სვეტებს ჰხედავ
და სუროთი ბურვილ თაღებს==
თავმორღვეულ ნაკოშკარებს.
ნაშავდღევარ-ნაპარტახებს!

ჰხედავ, დიდ ლოდს ჩაღრმავებულს==
-- ფეხი სდგმია აქ ამირანს =
-- არა, ტორი ზვდ დაურტყავს
გორგასალის ფიცხელ მერანს!..

აქ უჯარმა ბრწყინვალეობდა
მარმარით და ოქროს ზოდით
მოგრანილი გალავნებით,
სამ ბჭე-კარი დიდრონ ლოდით...

აქ იორი ციმციმებდა
ლაჟვარდით და მარგალიტით.
ეხვეოდა " სვეტებს ვაზი,
ხევარდული, მტევანდიდი...

ელვარებდენ პალატები,
სტავრითა და ოქრომკედით...
აქ მეფობდა გორგასალი,
გამგებელი ქართლის ბედის...

ჩაფხუტს ეხატა ლომი და მგელი
და ხმალიც მათი ღონით ალესა.
მკლავით მოზღუდა ქართლი, ეგრისი,
კარი შეაბა დარიალისა.

ვკითხოთ, მოგვითხრონ მისი ამბები
დამდნარ ლოდებმა, ძველ ნაბურჯალმა...
ვით განაშვენა მცხეთა, არმაზი,
დიდნაშენობით აგო უჯარმა.

ახლა სატახტოდ თბილისს აშენებს,
რომ აქ ჰფეთქავდეს გული ქართლისა,
შუბით გახაზა გეგმა მიწაზე,
სდგამს ფუძედ დიდრონ ლოდებს დათლილსა.

უკვე დრო არი, ვარდით აყვავდეს
ნაამაგარი მისი ხმალისა...
და იჩეხება შავი მუხნარი,
ტევრი იფნარის, ნეკერჩხალისა...

თავი მეორე

1

სამგორის ველზე გუთნის გუგუნში
გაჰქონდათ ხარებს ღარი ხნულისა;
პირველ კვალს მეფე თვით დალოცავდა,
პირველ სახნაურს გაზაფხულისას.

მანდილში გაკრულ სათესლე ხორბალს
უმანკო ხელით, უმანკო სულით,
მეფეს ამ დღისით, ძველისძველ წესით,
მიაწოდებდა ტურფა ასული...

თვით მეფე მჯილთ გადააბნევდა:
- ბარაქა, ხვავი, პური მრავალი!
არ დაეშრიტოს მადლი ჩვენს მიწას,

გამრავლდეს ქართლის შთამომავალი

და გუთნისდედა ღვინია მეფეს

მიაგებებდა საღვინე სურას:

- ჩვენს მიწას მადლი,

მართალ კაცს მადლის!

თვის ოქროს ვინც სხვის

ოფლში არ სწურავს!

იდიდოს შენი ხმალის ნაქნევი,

ქართლს არ მოაკლდეს გმირთა კრებული!

დაუღეველიმც გვექონოდეს მუდამ

ოქრო, ნამგალით მონაგრებული...

ჯამებს ასწევნ ღვინიას ძმებიც, ---

ორთავ არწივის თვალთ მჭვრეტელი.

ერთი მედროშე არის მეფისა,

მეორე მისი კარის მჭედელი.

ერთს თვალსაცერა ერქვა პირნახმლევს

და ღვთისავარი კიდევ მეორეს...

მკერდზე ირმისტყავაფარებული,

ხმაღს უწრთობს მეფეს და მის მეომრებს...

-- ქართლის მშვიდობა! საზღ ართ სიწყნარე!

სიტკბო ერისა, მტრების დამხობა!

მოგვილოცნია თბილის-ქალაქი

შენი და შენი ხალხის სამყოფლად!

მეფევ, ყადიმი თიხა გატეხე,

წერე წერაქვით შენი სახელი!

ახალი ბინა ქართლს გაუჩინე,

იხსენ, რაც იყო მტრისგან სასსნელი!

შენს ხელთქმნილს, ნაღვაწს და ნამუშაკევს,

სულ დღე ელოდეს გასხივებული!

ჩვენც შევეწირნეთ და ჩვენი ყრმებიც,

აკვანში თვალეზ-ახილებული --

დადგეს ჯამები, ავსებს ღვინია,

მის ნაამაგარს რა გაათავებს=

ხარის მოღრუბლულ თვალეზს შეჰხარის,

მზერს ოცნებაში საძრავ თავთავებს,

და ღვთისავარის ვაჟი ცისკარა,

ვით ავაზა დგას თვალგაფეთებით.

ჩახედავს ხნულში, ო, რა შავია

მშობელი მიწის შრე და ბელტები!..

კვლავ ილოცება მეფე: გამჩენო,
შენ აგვაცილე ყველა სარჯელი!
ღმერთო ძალთაო! მოხედე ვენახს
და ნაყოფს, დასხმულს შენის მარჯვენით

ჩემს პირმშო თბილისს, ჩემგან ნაშენებს
შენის წყალობის თვალთ მოხედე
შენ გამიმაგრე, რომ ვერ შემუსროს
მიწისძვრამ, მტერმა ოხერმოხეტემ!

თქვენცა გსმენიათ, ოდეს თბილისი,
ხვალიდან ჩვენი დიდსამყოფელი, --
გამომწყვდეული ხეობის ტყეში,
იყო მარტოდენ მცირე სოფელი

დაუკვლევია ჩვენს მამა-პაპას
ქართლის სიმაგრის მარჯვე ადგილად.
დიდ გზების ჩამკეტს, მტკვრიანს და კლდიანს,
ვერ მიატანდა მტერი ადვილად.

მტკვრის პირს მდებარე მთა შემოზღუდეს,
ციხე-სიმაგრედ გაითვალწინეს,
შიგ ჩადგნენ, მაგრამ მტრის ურდოებმა
მრავალჯერ სისხლის ღვარი აწვიმეს.

ბოლოს სპარსებმა გაიბუნაგეს
კლდეციხე, მტკვარის ზვირთით ნაშხეფი,
გახდა საყრდენი მათის ძალისა
საჯდომი სპარსთა პიტიახშების...

ქართლი აქედან იხარკებოდა,
იზვერებოდა ფარულ, მზაკვრულად...
მცხეთას აქედან ემტერებოდნენ,
აქ მრავალ ქართველის მკლავი გაკრულა...

მე გამოვტაცე სპარსებს თბილისი
და მე გავხადე ტახტად თავისად;
მწამს, გამეტდება ვიდრე ქალაქი, --
მტკვრის და არაგვის შესართავისა

მაგრამ სპარსეთი არ გვაპატიებს
და არ შეგვარჩენს ამ გამარჯვებას,
ქართლი თბილისში უნდა გამაგრდეს,
თუ თავისუფლად გვინდა დარჩენა

მიბრძანებია: ახლო-მახლოდან
გამოერჩიოს ერი მშრომელი...
ხუთ მმიდან ერთი დასახლდეს თბილისს,
გულით და მკლავით დაუდგრომელი

-- ჩადი, ღვთისავარ, დასახლდი თბილისს,
იქ აწრთე ხმალი, იქ ჭედე რკინა
დე, გუგუნებდეს შუა ქალაქში
შენი გრდემლის ხმა, სოფლად რომ გრგვინავს!

-- ჩადი, ღვინია, დამკვიდრდი თბილისს,
იქ მოიყვანე აყრილი ყანა
შემოგვაშველე შენი ხარები,
აღგვიშენებდე იქ ნარიყალას!

მარნის ბაქანზე სუფრა აკურთხეთ,
მე დაგილოცავთ ფუძის ანგელოზს!
მტერსაც იქ დახვდით, სიკვდილის ცხენი
თუ მტერმა ქართლზე შემოაგელოს!

შენ, თვალსაცერავ, დარჩი ლაშქარში,
გმირ ამირანის ჩამომავალო
კვლავ დროშის თავზედ ორბი დაისვი,
რომ ძველებურად მტერი გაღალო!

და შენ, ცისკარა, ცხელსისხლიანო,
თუ მასახელე მე პაჭანიგეთს,
გამღევ თბილისის ციხისთაობას,
თბილისის მცველის პატივს განიჭებ!

მუხლთ მოეხვივნენ ჭადარა მეფეს,
ვით ქარში მუხას მცირე მუხები...
-- ჩვენის ოფლით და სისხლით ჩვენიტა
თბილისის მიწას შევედუღებით!..

ადგნენ, გაჰხედეს თბილისის მხარეს,
შეისაყვარლეს მისი უბნები...
იკუმშებოდნენ თბილისის თავზე
ვეფხვის ტყავივით ჭრელი ღრუბლები...

ცხენზე მოფრინდა გაგა მეაბჯრე,
სპარსთ შავი დროშის ხელში მპყრობელი.-.
გადმოხტა: -- მეფევ, მოგვილოცნია,
ვარ გამარჯვების წინამთხრობელი!

თბილისთან სპარსთა რაზმი დაგვეცა,
სულ დარჩეული და რიცხვმრავალი.

ჩვენ გაგვამხნევა შენმა ასულმა,
ვძლიეთ, ვიშოვნეთ ნაიავარი!

შორით მოისმა ხმა ყიჟინისა,
გამოჩნდა რაზმი წითლად ჩაცმული,
რაზმს გამარჯვებულ დროშების შუქში
წინ მიუძღოდა ღიმით ქალწული!

იყო პირიმზე პირანთებული
და მთვარის კდემით განაზებული:
-- მამავ, გილოცავ კვლავ გამარჯვებას,
მტერი დავძლიეთ ანაზდეულის.

მამავ, უმხნესად იბრძოდა გაგა,
თუმცა გადუხდია მრავლად ომები
და მისი ვაჟის, ქუჯა-ჭაბუკის,
გამომკლავება იყო ლომებრი!

მეფევ, გთხოვ ჯილდოს მამა-შვილისთვის,
ორნივ არიან გულით რვალები!.. --
შვილდგადაცმული ქუჯა შეტოკდა,
მოუწყლიანდა ჯილა თვალები.

სთქვა მეფემ: -- გაგა, ჩემი მეაზრე,
ყველა ბრძოლებში ჩემი მხლებელი,
თავდადებისთვის ამიერიდან
გახდეს ბეგართ შუუხებელი!

მოუალერსა მეფემ ქუჯასაც:
-- ვაჟად გცოდნია მტერთან ჭიდეზა
თუ დამიმრავლდნენ შენისთანები,
მაშინ ქართლს აღარ გაუჭირდება!

შეჩერდა მეფე, ქუჯას შესძახა:
-- შენ დაჭრილი ხარ, ვერ ატყობ განა=
უხმეთ ჩემს მკურნალს წყლული შეუკრას,
მკლავზე დაურტყავთ ბრჭყალი მანგანა!

აიბნა გაგა გულშერყეული:
-- ჩქარა მიჩვენე, შვილო, ჭრილობას. -
გაგა იმღვრევა. შვილს ერცხვინება
ირგვლივ ლაშქარის შემოჯრილობა...

წყლული შეუკრეს... - რომ დაზიანდე=...--
ატირდა გაგა: - ცეცხლი მედება!
- მეფემ რაღა ქნას! ხუთი წყლული სჭირს, -
თქვა ქუჯამ, - ჩვენთვის სხვაც ემეტება!

- ის მეფე არი, ქვეყნის მპყრობელი,
მე მხოლოდ ერთის შემხედვარე ვარ! -
წარმოსთქვა გაგამ, შერცხვა თვითონვე,
უკბინა გულში შვილის ჩარევამ...

განა შეჰფერის სიტყვა ასეთი=
მეფე ხომ მისთვის წმინდა კერპია=!
სახლი, სახელი, ცხოვრება გაგას
მეფის წყალობით შეუკრეფია...

ერთგული არი გაგა მეფისა,
მისთვის ნაჩეხი მრავალს ბრძოლაში,
ბევრჯერ მეფის მკერდს გადაჰფარვია
ჟამს განწირვისას, მტრის მოწოლაში!..

აფასებს მეფე მის ერთგულებას.
ბევრჯერ ოქროთი აუვსო ფარი!
დაიახლოვა... და ახლა გაგა
მეფის მისანდო მეაბჯრე არი...

აქვს შავფერ გაგას ტოტი ვეფხვისა
და გამჭრიახი თვალი ორბისა,
მეფესთან არი გამოუკლებლად
ომში, საბჭოში, ნადირობისას...

თავი მესამე

1

შუაღამეა. მეფის პალატის
კოშკში დანათდა სეფე-სანთელი...
შუქზე სჩანს მეფის ქალი პირიმზე,
წინ ოქროს მატყლი ედვა სართველი.

გვერდთ შაოსანი გამზრდელი ახლავს,
ბერდელა, გვარად სამძივარია...
შვილ-ქმარმოკლული და მიწის ძიძა,
სიკვდილის სუსხით ნამცივარია...

-- სიზმრად ხმელეთის დედოფლად გნახე,
ეტყვის ბერდელა და იღიმება.
-- უკან წაილე შენი სიზმარი! --
პირიმზე გამზრდელს დაედირება.

-- შენ დაგშვენდება სპარსთა გვირგვინი,
რომის გვირგვინი, ვიდრე შამირეს!¹ ÷

¹ ხამურა-ყმურამურა.

-- ჩემო მფარველო, წმინდა მარინე!
ორთავე გვირგვინს შენ განმარინე!

-- მაშ, პიტიახში შარაველ თუ გსურს==
რა ვქნა, რა ფიქრი გადავიკიდე
მან თეთრი ქორი მიჰგვარა მეფეს
და შენი ხელი ითხოვა კიდეც

ოქროს სამკლავე აჩუქა მეფემ
და მოჭედილი ოქროთი ფარი!--
წარბი შენასკვა მეფის ასულმა:
-- ეგეც ხომ შენი სიზმარი არი!

დაეხსენ ყველას, გვედრი, ბერდედავ,
არც შაჰანშა მსურს, არც პიტიახში
სად არი გურამ ბივრიტიანი,
რად იგვიანებს ბიზანტიაში==!

ცხრამეტი თვეა, რაც წასულია,
რაც სადესპანოდ წარგზავნა მეფემ.
არა ისმის რა... ენამცდარები
ათას ცილსა და ჭორ-ამბავს ჰყეფენ!

ვითომც დარჩაო იქ სამუდამოდ,
ვითომც გამოდგა უნდო, ცბიერი
და თითქოს რომში შეჰყვარებოდეს
კეისრის ქალი ზინობიერი!

კიდეც იტყვიან. გუთებს ებრძოდა,
თავი შეაკლა მტერს სატიალეს
და შეჭურვილი მისი ტაიჭი
თითქოს ენახოთ მოხეტიალეს.



შეკრთა გამზრდელი... მის გაზრდილ
გულზე რომ ნისლი ებურა...
და მოწიწებით შებედა
ალერსი დედისებურად:

-- მას შეეწიოს უფალი,
ქერაბინთ ბეჭზე მჯდომელი
ქართლში მისებრი ვინა გვყავს,
სეფესწულთ შორის მდგომელი==

ხელმწიფის თანამოლაშქრე,
მკლავით და აბჯრით ძლიერი. ..
დამდაბლებული ღიმილით,

წმინდა გიორგის იერით...

ჯერეთ ჭაბუკი, -- დესპანი,
თავისი ქვეყნის მძევალი..
ფილოსოფოსი, რიტორი,
ასომთავრულის მწერალი...

-- მან ჩემთვის წიგნი დაწერა,
სიტყვა სთქვა გულის მნაცვრელი..
ცით ჩამოსული წიგნია,
ღვთის კალმით არის ნაწერი...

მან ჩემთვის ვეფხვი ვაფაქტრა,
შამხნარიანი ბარდისა;
მან ჩემთვის ციხე აიღო,
სიმაგრე შარუბადისა!..

-- მაშ, დედოფალო, რაღა ხარ
უწამებელი, ურწმუნო?

გულო, დამშვიდდი, შავსევდის
ეკლებით ამოლურსმულო!

გუშინ სთქვა ეზოსმოდვარმა,
გურამ ბრუნდება გზამსვლელი.
-- მაშ, რად არ შემატყობინა,
გზას რად გავცქერი თვალსველი?

3

-- დაგნატრდები... დაგნატრდები..
და თუ ახლა რომში ჰხარობ,
არც მე ვღვარო ცრემლის წყარო
გამოაღო მან სარკმელი:

-- მთვარე დამჭრა მთვარის ფრთებით!.. --
შორს წალურჯო ბურში ჩანდა
მოსპეტილი თეთრად მთები...

ბაზიერნო, სანადიროდ
შემიკაზმეთ შავრა რაში!
ავყვეთ იორს, იქით კვირას
გადავიდეთ კვეტერაში!

მერე თავყვეთ ძირს ალაზანს,
ხორანთიდან ჩავალთ ბარდას!
შემომხვიეთ მხრებზე ქარი,

სიყვარული გამომზარდა!..

თავი მეოთხე

1

თიბვის დრო. პირველი ზვინი
და ნაცელარი ბალახი...
თაფლა, ბურღალი ბალახი...
-- მიმინომ ჯაჭვი აწყვიტა,
ხომ არავის გყავთ ნანახი?!

-- მიმინომ ჯაჭვი აწყვიტა,
მეფის ასულის მიმინომ...
ახლა რაღა ვქნათ, მშვიდობით,
პირიმზე ქალის ღიმილო!

-- პირიმზე ქალი სად არი?!

-- მოინადირა მთა-ბარი
ელვარე ცხენი აჭენა
ასხივებული ფაფარით!

ბრწყინვალეებს რახტი ოქროსი,
თოქალთო ოქროქსოილი.
რამს ილღიაში ფრთები აქვს,
მთელ ქართლს ერთ დღეში მოივლის...

მინდორობს და მონადირობს
და წინ უსწრებს ყველას ჯირითს,
საჯერნე ტბა ინადირა,
გარეჯა და ივრის პირი.

კანჯრის ჯოგში დაქროლავდა,
შვილდს სჭიმავდა ამორძალი,
ახლა გლოვობს თეთრ მიმინოს:
-- სად იპოვოს მისი ცალი!..

-- ხელუღირსო ბაზიერო,
არასოდეს გერთყას ხმალი
-- გაგიტანდეს ისრის ქარი
რათ აუშვი? ქალაუში, --
წყრომით იტყვის სეფექალი.

-- წარბი გახსენ, დედოფალო,
დაგვიწყნარდი, წყალი მოსვი! --
ეხვეწება გურანდუხტი,
მედარბაზე ანგელოზი!

-- შენ, მიმინო ხომლიანო,
სად დაფრინავ, გარის-გარად==
მომიძებნეთ და მომთხოვეთ,
ვის რა გინდათ საჩუქარად==!

-- საპოვნელა რა იქნება,
თუ ვიპოვეთ კვალი მისი== --
ლამით ამბობს განძა-ქალი,
მშვენიერი, ვით მაისი.

-- სათმეულის მარგალიტი==
ზაფხუმი, დიდი ლალი==
-- ყველა ერთად! და ზედ სართად, --
გსურს ცისკარა ციხისთავი==!

გათხოვების დასტურს მოგცემ,
შეიერთო შენი ცალი
მინდორთქალო, გინდა გახდე
ხვალ თბილისის პატარძალი==!

დაირცხვინა სეფექალმა,
გამჟღავნება განზრახულის...
და თვალებში აუელვდა
გაზაფხული ზამბახური!

≡

--ვინ მიჩვენებს ჩემს მიმინოს,
მე თავი ვინ შემაყვარა==
-- დედოფალო, მე მახარა
მისი პოვნა ხემაყვალამ! დ

გახარებით დაიძახებს,
ვაშლაქალი, ყელმაღალა...
-- დედოფალო, გზას გაჰხედე,
ფრთების ქარი დამეხალა!.. --

გზას გაჰხედეს, შავი მტვერი
ტრიალებდა, როგორც ბორა,
წამს მხედარმა მოაქროლა
კავში ცხენი კოჭიბროლა.

ერთი ისრის მოსაწევზე
მან მოსწურა ზედაური...
ქალი შეკრთა.., ქალთან იდგა
სიხარულის მეთაური..,

კალთას კოცნა მოახსენა,
მარგალიტით ნაკერ სარტყელს.
-- მშვიდობა შენს დაბრუნებას,
გიგონებდით ჩვენ ცისმარ დღეს --

ლურჯი მზერა იფრქვეოდა,
როგორც ზვირთი იორისა,
და ესმოდათ ქალსაც, ვაჟსაც
სუნთქვა ერთიმეორისა...

ვაჟი იყო ახოვანი,
ხუჭუჭა, თვალბუდეშური...
ტანს ემოსა პალეკარტი²,
ქვეშ წითელი აბრეშუმი...

ქალს ლეჩაქი ამშვენებდა,
რიჟრაჟული ტბური ბური. . .
ვარდისფერი ეცვა სტავრა,
ბრტყელ ფოთლებით მოშამზნური.



-- ამდენ ხანს რისთვის დაიგვიანე? --
-- ჭაბუკს ჰკითხავდნენ ქალის გიშრები...
-- მომეცი გული, ვარ მოციქული!
თორემ ზღვა ვიყო, ამოგიშრები!

-- მე შენთან დამრჩა სულის ნაწილი
-- მე გული ჩამრჩა! - დელავს ქალწული.
-- მე შენთვის ვლახე ზღვები მღელვარი,
მთები, ნისლებით გადაკვანძული...

დიდხანს ვაბრძოლე კეისრის კარზე,
რომ დამეთრგუნა ჩვეხი ამკლები... --
ქალმა ჯერ თვალი ჩაუციმციმა,
მერე გაიწყო შუბლზე ნამგლები..



-- ბივრიტიანო, გურამ ჭაბუკო,
გულის საწყური სიტყვა გვითხარი!
რა გაგვირიგე, გვითხარი, რომში,
ვისი რა მოგაქვს მოსაკითხარი?!

-- მეფის ასულო, გადარჩა ქართლი,
გადიმტვრა წვერი სპარსთა ისრისა

² **ძაღუკატფმ---ეტუფიშ ჩაოიყაყყაოშ.**

მომყავს ლონგინოზ ანთიპატრიკი,
თან მოაქვს ქარტა დიდ კეისრისა.

-- აღთქმა და ფიცი რომ ქართლი სპარსეთს
ამიერიდან არ დაანებოს!
კლარჯეთიც, ზღვიდან არსიანამდის,
კვლავ უბრუნდება ქართლის სამეფოს!

გვიკავშირდება შიდა-ეგრისი,
ჩვენია სპერი, დიოსკურია;
დღეიდან ყველა გარექართველი
სამშობლო კერას მონაშურია!

გასწი შავ ზღვაზე, ქართლის ხომალდო,
დაჭიმე ღონით შენი აფრები,
ბედმა ახალი ფრთები მოგანდო,
ნოეს კიდობანს ეთანაბრები!

-- სამარგალიტო ამბავი არი,
ღირსი ხარ, შეგხვდეთ ვარდის შტოებით
-- მზის თვალის მადლმა, სახელმზიანო,
შენის მზერით ვარ ნაჯილდოები!

-- გავხსნათ ზედაშე... დავკლათ ბერზვარა,
თავზე ყვავილი გადავიყაროთ,
ვინც ეცვითება შაჰანშას კალთას,
იგი სტიროდეს, -- ჩვენ გავიხაროთ!..

ჯვარი, გვირგვინი, ტახტი სამეფო,
ოქროს სკიპტრა და ძვირფასი ცხენი,
მოართვეს ვახტანგს კეისრის ძღვენი,
თან ეპისტოლე, -- ოქრობეჭედით,
ამოკითხული ოქროს სიტყვებად:
-- რას ბრძანებს დიდი იმპერატორი? --
ხელმწიფე გურამს შეეკითხება...
-- რომ იყოს ქართლი, და იყოს რომი,
ვით ძმა ერთსახლი ამიერიდან, --
წინაშე მტრისა, სპარსთა წინაშე,
ერთპირ, ერთსიმხნით, ჯვრის მიერთია!

-- კიდეჲ=
-- რომ შევკრათ კავკასიონი,
ჰონნი, ძურძუკნი, სარაგურები,
არ გადმოვუშვათ დასავლეთისკენ,
გავხადოთ ცეცხლით დადაგულები!

-- კიდეც რას ბრძანებს იმპერატორი,
ან მე რას მეტყვის, ანუ ჩემს ლაშქარს?=
-- თქვენს ქალს, პირიმზეს დედოფლად ითხოვს!...--,
და შეუთრთოლდა ყელში ხმა ვაჟკაცს...

შეხედა მეფემ, არაფერი სთქვა, —
და უეცარი ფიქრი მიახშო,
ხელით ანიშნა, მუხლს ითაყვანა,
უბოძა კვერთხი საპიტიახშო.

-- გაძლევ გარდაბანს და გაძლევ თბილისს.
მოველი შენგან მეტს ერთგულებას
ხოლო შარაველ გარდაბანელი
მე საიმედოდ არ მეგულება...

რკინის ხარშვა სჯობს შარაველის წვრთნას...
ჩემგან აღზრდილი, სპარსთა მკმევარი,
ცხენის ნალის ქვეშ ჩაჭედილ წერილს
თურმე სწერს კავადს, ღმერთნაწყევარი!

ქვეგამხედვარი, თავგაზიდიული,
აწ იგი რაღა დასამხრისია?=
ვაი მას, მწარეს ვინც იტყვის ტკბილად.
ვიტყვი, შარაველ ჯვარცმის ღირსია!

თუმც, აშკარა მტრად რომ არ გამიხდეს,
ჯერ მხოლოდ გული ერთგან ვატკინე...
კვერთხი წავართვი საპიტიახშო,
გარდაბანიდან გარდავადგინე!

მის შეთქმულების ფესვებს გამოვჩხრეკ. ..
თვალქვეშ მყავს.. სწვავდეს ქენჯნის სახმილი..
სანამ შევიტყობ მის თანაშეთქმულთ,
მანამდის დარჩეს თავდასასხმელი!

შენ კი იყავი თანამოქმედი
ჩემის აზრის და ჩემის მარჯვენის
მე ვარ სამშობლოს ნების მყოფელი
და შემწირველი ქართლის გამჩენის!

ქვეყნის სეფენი, მოთაულები,
გადიდებული აზნაურები,
თავს არ მიდებენ... გამცხადებელი
შენ გახდი ჩემი ნამცნაურების...

წარსთქვა ჭაბუკმა: -- ხმაღს ძირს არ დავდე
შენთვის, მეფეო, თავშეწირული!

-- მაშ, -- უთხრა მეფემ, -- შვილდი მოზიდე,
ბუკში ჩაბერე სული გმირული!..

მღელვარებს გულში ბივრიტიანი:
"არ მინდა კვერთხი, არ მსურს დიდება
მეფეზე, მაჩუქე, რაც გულს ჭაბუკურს,
შუქურ-შუქისკენ მიეზიდება..."



სიტყვას იტყვის შარაველი:
მე მორჩილი არ ვარ მეფის
ნებას გავალ ნებეულად,
ხელმწიფე ვარ ჩემის ნების

-- დე, გარდაბანი ჩამომაშოროს,
მას დამიბრუნებს ისევ კავადი...
სპარსეთის ძალით, შაჰანშას ძალით,
კვლავად გავხდები თავისთავადი...

თრთოდე, თბილისო ახლოა წუთი,
შენზედ ავმართავ დროშას საკუთარს
ჩემი გახდება მეფის ასულიც,
მით ქართლის ტახტი ბედმა მაკუთვნა...

-- აზნაურებო, თანაშეთქმულნო,
ტეხვას ვერ ატყობთ თქვენსა გულებსა! =
შემოკრებით, ხმალი ვისაც ულესავს,
გიხმობთ ვახტანგის მეორეგულესა!

თუ და, შენა თბილისს ვახტანგი,
მეტად გახდება ჩვენი მძლევარი!
დავცეთ თბილისის ბჭე, ბალავარი,
შევიქნეთ მისი დამაქცევარი!

დავღვაროთ სისხლი გორგასალისა,
მით მოვიპოვოთ მხარგაშლილობა
ხელმწიფეებას და უფლების ძალას
ჩვენ შეგვძენს მხოლოდ მეფის ჭრილობა!

და აზნაურთა ისმის ყრიალი:
-- თბილისში ჩვენი ბედი იწვება!
დავცეთ, დავამხოთ, თორემ თბილისი
შენდება მეფის განსამტკიცებლად!

-- წვრილ ერში ჰკაზმავს მეფე მეომრებს,
მან ერთუფლებით ჩვენ დაგვაჩოქა!
-- მან აღამაღლა ჩემი მსახური!

-- ბუბა ბუმბერაზს დაბა აჩუქა!

-- ბივრიტიანი თავზე დაგვასვა,
გარდაბანს აძლევს, მისცა ჰერეთი!
-- ამ ხანს მომყარე, ღმერთო, რისათვის,
თუკი სიმწარით დამაბერებდი!

-- დღეს თბილისს მართმევს სპარსთ
მოყვრობისთვის,
დროშა გამტაცა, ძმებო, მიშველეთ!
მაღლე წამართმევს მე თრიალეთსაც,
რაკი მეზობლად ქალაქს მიშენებს! --

იტყვის შარაველ და იგლოვს მცხეთას:
-- ვაი შენ, ჩვენო დიდო ქალაქო
მამათა სახლო, ვით დაგადაბლა...
რატომ არ სტირით, მტკვარო, არაგვო

ვფიცავ ბაგინეთს! ვის ველოდებით
მკლავდამალული, ხელგამარცვლი!
შევთხოვოთ კავადს, ქართლი დალაშქროს,
ან მეტი გზავნოს ოქრო სპარსული --

დასამხობელად ვახტანგის ტახტის!
თორემ სპარსეთიც მაღლე ინანებს...
შემოჰყავს მეფეს რომაელები,
ქართლის მიწაზე დააბინავებს

გადავიშორეთ ღალატით ვახტანგ
და მოვსპოთ მასთან ბივრიტიანი!
მონა-სპის მძღოლი, მეფის მისანდო
და მეერთგულე ბიზანტიონის!

მკვლელს მე ვიშოვნო, მეფისვე ერთგულს,
დაზეწრულ ზრახვას ბარემლა გკადრებთ...
მღვენი უზიდეთ გაგას მდიდრული,
მე მოვდრეკ ჩვენსკენ ყველაზე ადრე!

-- გაგა მეაზჯრე, მეფის მისანდო==
არ დაგვიჯერებს, კმარა, შეჩერდი!
-- ის მე ვაჩუქე მეფეს, როდესაც
თითზე შემაცვა მთავრის ბეჭედი,
როს პიტიახშის დროშა მიბოძა,
როცა გამხადა მან პიტიახში...
ტყვე იყო გაგა... ჰონებს წავართვი
სასტიკს ბრძოლაში, შუა ლიახვში!

უთვისტომოა, გადმოხვეწილი,

-- დიახ, გაგაა მისი სახელი!..
მეფის მეაბჯრე-მეხვაშიადემ,
დე, იხსნას ჩვენი გამოსახსნელი!

თავი მეხუთე

განმა-ცისკარას ქორწილი,
მეფის დალოცვა მამური...
ლხინი, მაყრული, ქალწულის
ცრემლები გადამალული...

მეფე-პატარძლის წინაშე
ეჯიბი სამდღე მჩოქარი...
ტრიალ მინდორზე ჯირითი,
ბურთი, ჩალიჩი, ჩოგანი...

მიზანში ამოღებული,
ჭაბუკთა გულში დათქმული,
პირიმზის თასი ელავდა
ოქროს ფიცარზე დადგმული.

-- ესროლეთ ვისაც მკლავი გაქვთ
და გული ადუღებული!
ჯილდოდ გულს თუ ვერ მიიღებთ,
მარჯვენა დარჩეს ქებული!

დამკვლევნი თვალთ უმზერდა
პირიმზე მინაზებულნი,
შავფხა წამწამით ჰგმირავდა
ნამგერ გულს პირადმზეული.

ესვრიან აზნაურები, --
თერგაული და მთვარელი...
უმზერენ სეფე-ქალები
გავარვარებულ თვალეზით.

ესვრიან ერისთავები
ნისლაურა და დავალი,
კვლავ გარდაბნელი შარაველ,
პიტიახშო ჩამომავალი...
ისმის ზუზუნნი ისართა...
ყიჟინა... ცხენთა დგრიალი...
ესროლა ბივრიტიანმა,
თასი დაეცა წკრიალით.

მაშინ პირიმზის სახეზე

ავარდა ვარდის ალმური...
ასჭიმა წარბი წალმური,
გიშრის ფრთით გადაკალმული...

-- შენს მკლავს როგორ არ ვერწმუნო,
ჭაბუკო გადალერწმულო

.



გაახსენდა, სულ პირველად,
ბდრამს შეხვდა ივრის პირად:
დილა იყო ოქროს ფრთებით,
მზე წითელი იდგა მზირად.

ნინოწმინდის გზით მიმავალს
ახლდნენ: რუშა, ნეშხა, განძა.
საუზანგე თასმა გაწყდა,
ვინმე ვაჟმა გაუკვანძა.

თაეს ჩაფხუტი ედგა ვერცხლის,
ხელთ ეჭირა შუბისტარი...
ვაჟს კი ახსოვს ქერუბიმი,
ექვსივე ფრთით გადმომდგარი.

თითქოს თვისი ნათლის ფერი
დაუთმია განთიადსა...
იქვე იდგა დიდხანს გურამ,
თუმც ქალწული იორს გასცდა.

თეთრი ქორი, თეთრი ქორი,
რომელ მთისკენ გაუფრინდა?=
გაუფითრდა სახე ჭაბუკს
გულთან ფარულ საუბრითა...

შორს მისჩანდა ნაფრენალი...
მერანს ეკრა ვერცხლის ნალი...



ვინა ჰყავდა მოწმე დილით?=
მხოლოდ ზეცა მოწმენდილი;
მხოლოდ ყანა თავანკარა,
დაზვინებულ ზვირთის ცემა,
სილურჯით რომ დაიცრემლა, --
ჰგავდა ქალის თვალთა ფირუზს,
რომ შეხედა პირდაპირულ...

და მას მერე ქალის შუქი

ვაჟმა თვალში შეიყენა...
და მის მერე ქვეყანამაც
ვარდის შუქით იწყო ბრწყენა...

ის უჯარმის სასახლეში
გახდა ხშირი სანახავი,
სამჯერ ჯიხვი ჩაუტანა,
და მეოთხედ ვეფხვის ტყავი...

ჟ

აქვს დავლილი საცალკეოდ
მთის კვანძები, შავკლდის ეხი,
გზაბაწარა ბილიკები,
ღრე გაჭრილი ცხენის ფეხით...

ჯიხვის ჯოგის დაჯახება
ვაჟს უყვარდა გულით მჩქროლავს.
მამაც ჰყავდა მონადირე,
დაეხლიჩა ირმის ხროვას...

იტაცებდა შურთხის სტვენა,
ლურჯ ნაპრაღზე ჩანჩქრის დენა,
ბევრჯერ ქალის სიყვარულით
დაედევნა ირმის რემას...

ჯიხვს გაქცეულს დაიჭერდა,
მოჰკოცნიდა ჯიხვის სახეს
და ზედ რქაზე დაშნის წვერით
დააჭდევდა ქალის სახელს...

ღამე, როცა კოშკის სარკმელს
აწყდებოდა ქარაშოტი,
არყის ქერქის ჭრაქზე სწერდა,
უნათებდა არყის ტოტი:

-- ვარსკვლავები და ელვანი,
მზე, მთვარე, ზღვები მღელვარი
და ღაწველვარი
მწვერვალი, --
შენა ნაშუქი მგონია
და შენი პირის ნათელი...
მე შენს ნათელში ვტრიალებ,
მისთვის ვარ დასანატრელი!